მალხაზ მაცაბერიძე

შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში

სალექციო მასალები

ლექცია 4. რას შევისწავლით პოლიტიკურ მეცნიერებაში

შინაარსი

1. პოლიტიკური მეცნიერება როგორც დისციპლინა 3
1.1. რას შეისწავლის პოლიტიკური მეცნიერება 3
1.2. არის თუ არა პარადიგმები პოლიტიკურ მეცნიერებაში 5
2. პოლიტიკური მეცნიერების კურსის მთავარი ელემენტები.....6
2.1. პოლიტიკური მეცნიერება სხვადასხვა ქვეყანაში.....6
2.2. შედარებითი პოლიტიკა.....8
2.3. საერთაშორისო ურთიერთობები.....9
2.5. პოლიტიკური თეორია 10
2.6. საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება 12
3. პოლიტიკური მეცნიერება და მომიჯნავე დისციპლინები 12
3.1. პოლიტიკური მეცნიერება და სოციოლოგია 13
3.2. პოლიტიკური მეცნიერება და პოლიტიკური ეკონომია ...13
3.3. პოლიტიკური მეცნიერება და ფილოსოფია 14
3.4. პოლიტიკური მეცნიერება და გეოგრაფია 14
3.5. პოლიტიკური მეცნიერება და ფსიქოლოგია 14
3.6. პოლიტიკური მეცნიერება და ისტორია.....15
3.7. პოლიტიკური მეცნიერება და იურიდიული მეცნიერებები15
4. პოლიტიკა და პრიორიტეტები 16
4.1. პოლიტიკა: მეცნიერება და ხელოვნება.....16
4.2. პოლიტიკა: შესაძლებელის ხელოვნება.....17
5. პოლიტიკა და სწავლა 19
5.1. სწავლების უნარი.....19
5.2. სოციალური სწავლების დაჩქარება 21
5.3. თვითგარდაქმნა.....22
დანართი 23
თსუ პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა (2017 წლის შემოდგომა).....23

როგორ იცვლებოდა პოლიტიკური მეცნიერების
სტრუქტურა 25

1. პოლიტიკური მეცნიერება როგორც დისციპლინა

1.1. რას შეისწავლის პოლიტიკური მეცნიერება

თავდაპირველად პოლიტიკური მეცნიერება როგორც დამოუკიდეზელი საუნივერსიტეტო დისციპლინა უპირატესად სახელმწიფოსმცოდნეობას წარმოადგენდა, თითქოს უბრალოდ გამოყოფილი იყო იურისპრუდენციისაგან.

პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის ბოლოს განაპირობა პოზიტივიზმის დამკვიდრებამ. წინა პერიოდში პოლიტიკის შესახებ წარმოდგენები უპირატესად პოლიტიკური ფილოსოფიის ფარგლებში ყალიბდებოდა. პოლიტიკური ფილოსოფია პოლიტიკურ რეალობას ხსნიდა ღირებულებებზე დამყარებულ მსჯელობით სამართლიანი პოლიტიკური წესრიგის შესახებ, ემებდა პოლიტიკური მოვლენების ჭეშმარიტ ბუნებას. ტერმინი „პოლიტიკური მეცნიერება“ აღნიშნავს პოლიტიკის ისეთ კვლევას, როდესაც ხელმძღვანელობენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მოდელით. პოლიტიკური ფილოსოფიის ფასეულობითი განსჯის ნაცვლად დამკვიდრდა პოლიტიკის მკაცრად მეცნიერული ანალიზი, რომელიც ფაქტებს ემყარებოდა. ამ ეტაპიდან პოლიტიკური თეორია ვითარდებოდა პოლიტიკური მეცნიერების ფარგლებში.

პოზიტივიზმი როგორც შემეცნების პრინციპი სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოიტანა **ოგიუსტ კონტმა** (1798-1857). ის მიიჩნევდა, რომ პოლიტიკა უნდა გამხდარიყო „პოზიტიური“ მეცნიერება, რომელიც თავის დასკვნებს დაამყარებს არა სუბიექტურ განსჯას, არამედ ობიექტური ფაქტების შესწავლას.

კონტის თანახმად, პოლიტიკური მეცნიერება უნდა იყოს ექსპერიმენტული, შემოიფარგლოს ზუსტი კავშირების დაფიქსირებით კონკრეტულ ფაქტებს, მოვლენებს, ფუნქციებს, ინსტიტუტებს შორის. პოლიტიკური მოვლენების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონები, პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა ცნება კონტთან ატარებს **ფენომენოლოგიურ** ხასიათს, ე. ი. ემყარება მხოლოდ უშუალო დაკვირვებას. რამდენადაც მოვლენათა მიზეზები და ბუნება დაკვირვების ფარგლებს მიღმაა, ისინი არ წარმოადგენენ ანალიზის მიზანს.

მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური ქცევის შესწავლაზე აქცენტის გაკეთებამ ჩამოაყალიბა ახალი დისციპლინები - პოლიტიკური სოციოლოგია და პოლიტიკური ფსიქოლოგია.

1950 წელს იუნესკოს ექსპერტებმა შემდეგნაირად განსაზღვრეს პოლიტიკური მეცნიერების შესასწავლი თემატიკა:

1. პოლიტიკური თეორია:
   ა) პოლიტიკური თეორია
   ბ) იდეების ისტორია
2. პოლიტიკური ინსტიტუტები:
   ა) კონსტიტუცია;
   ბ) ცენტრალური მთავრობა;
   გ) რეგიონული და ადგილობრივი მთავრობა:
   დ) სახელმწიფო ადმინისტრაცია;
   ე) მთავრობის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები;
   ვ) პოლიტიკური ინსტიტუტების შედარებითი ანალიზი.
3. პარტიები, ჯგუფები და საზოგადოებრივი აზრი:
   ა) პოლიტიკური პარტიები;
   ბ) ჯგუფები და გაერთიანებები;
   გ) მოქალაქის მონაწილეობა მთავრობასა და ადმინისტრაციაში;
   დ) საზოგადოებრივი აზრი.
4. საერთაშორისო ურთიერთობები:
   ა) საერთაშორისო პოლიტიკა;
   ბ) საერთაშორისო ორგანიზაციები;
   გ) საერთაშორისო სამართალი.

მას შემდეგ პოლიტიკური კვლევების შინაარსი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, დღეს ის მოიცავს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, პოლიტიკურ კომუნიკაციას, ელექტორატის ქცევას, პოლიტიკურ მოდერნიზაციას და სხვა მრავალ საკითხს.

1.2. არის თუ არა პარადიგმები პოლიტიკურ მეცნიერებაში

პარადიგმა წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს „მაგალითს“, „ნიმუშს“. ესაა უმთავრესი დებულება, კონცეპტუალური თეორია, რომელსაც ემყარება რომელიმე დარგში ცოდნის მთელი სისტემა.

პარადიგმის ცნების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა და ფართოდ გავრცელება უკავშირდება ამერიკელი ფილოსოფოსის თომას კუნის (1922-1996) სახელს. მან შეიმუშავა სამეცნიერო რევოლუციების კონცეფცია. სამეცნიერო რევოლუცია არის რომელიმე მეცნიერებაში გარკვეულ ისტორიულ პერიოდში გაბატონებული პარადიგმის (პრობლემის დაყენების წესის და კვლევის მეთოდების) შეცვლა.

ამოსავალი კონცეპტუალური ხედვის - პარადიგმის - შეცვლამ შეიძლება გააუფასუროს მეცნიერებაში მანამდე არსებული წარმოდგენები და მათ საფუძველზე დაგროვებული ცოდნა. მაგალითად, სანამ ეგონათ, რომ დედამიწა ბრტყელია, არსებობდა წარმოდგენები რამდენიმე ცის და მათზე მოძრავი მნათობების შესახებ. მაგრამ ახალმა პარადიგმამ, რომ დედამიწა მრგვალია და მზე კი არ მოძრაობს მის ცაზე, არამედ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო, სრულად შეცვალა წარმოდგენები სამყაროზე და ახალი ცოდნის დაგროვება განაპირობა.

არის თუ არა პარადიგმა პოლიტიკურ მეცნიერებაში და ხდება თუ არა მათი ცვლა? თავად თომას კუნი გამორიცხავდა სოციალურ მეცნიერებაში პარადიგმების არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ რიგი მეცნიერები საუბრობენ პოლიტიკის შესწავლაში სხვადასხვა პარადიგმების არსებობაზე, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდება.

მაგალითად, **თეოლოგიური პარადიგმა** პოლიტიკისა და სახელმწიფო ხელისუფლების ახსნისას ემყარება ღვთის ნებას და რელიგიურ კოდექსებს; **ნატურალისტური პარადიგმა** ადამიანს განიხილავს ბუნების ნაწილად და პოლიტიკას ხსნის ბუნებრივი გარემოს მეშვეობით, ბიოლოგიური კონსტრუქციით, თანდაყოლილი ფსიქოლოგიური თვისებებით და ა. შ. **სოციალური პარადიგმა** პოლიტიკას განმარტავს მასზე საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროების გავლენით: ეკონომიკის, სოციალური სტრუქტურის, კულტურის და სხვა ფაქტორების გავლენით.

მაგალითად, ფრანგი ფილოსოფოსი შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755) ნაშრომი „კანონთა გონის შესახებ“ განიხილავდა გეოგრაფიის, კლიმატის, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორების ზეგავლენას

საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებაზე. მონტესკიეს აზრით ძირითადი პოლიტიკური ფორმების ბუნება დამოკიდებულია მისი ტერიტორიის სიდიდეზე: რესპუბლიკა მოითხოვს პატარა ტერიტორიას, წინააღმდეგ შემთხვევაში მმართველობის ეს ფორმა ვერ გაძლებს. მონარქია შეიძლება იყოს საშუალო სიდიდის, იმპერიის ვრცელი ფარგლები კი დესპოტური მმართველობის საფუძველია.

ფრანგმა ისტორიკოსებმა ო. ტიერიმ, ფ. გიზომ და ჟ. მიშლემ პირველად განიხილეს პოლიტიკა **კლასობრივი ბრძოლის** სახით, წარმოადგინეს ის ადამიანთა დიდი ჯგუფების მოქმედების სფეროდ.

პოლიტიკის გააზრებაში კლასთა ბრძოლა მთავარი არის მარქსიზმისთვისაც. მარქსის მიდგომა პოლიტიკისადმი სამი ძირითადი დებულებით შეიძლება გამოვხატოთ: 1) პოლიტიკას განსაზღვრავს ეკონომიკა, ადამიანთა მატერიალური ინტერესები; 2) პოლიტიკა - კლასთა ბრძოლაა, რომელთაც ურთიერთსაპირისპირო ეკონომიკური ინტერესები აქვთ; 3) ორგანიზებული ძალადობა და კლასობრივი ბატონობა - ნებისმიერი პოლიტიკის და სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველია ანტაგონისტურ საზოგადოებაში.

2. პოლიტიკური მეცნიერების კურსის მთავარი ელემენტები

პოლიტიკური მეცნიერების კურსი საკმაოდ განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანასა თუ უნივერსიტეტში, თუმცა მათი უმრავლესობა თანხმდება მის შემადგენელ ძირითად ელემენტებზე. პოლიტიკური მეცნიერების თითოეული პროგრამა შეიძლება შეიცავდეს სპეციფიკურ მოდულებს და გვთავაზობდეს სპეციალიზაციათა ფართო არჩევანს.

შესაძლებელია ისიც, რომ აღნიშნული ელემენტები სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვა სახელით იყოს აღწერილი და განსხვავებულად გადმოიცეს მათი შინაარსიც.

2.1. პოლიტიკური მეცნიერება სხვადასხვა ქვეყანაში

იმ ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკა, სადაც მდებარეობს უნივერსიტეტი, დიდ როლს თამაშობს ამ სასწავლებელში პოლიტიკის მეცნიერების კურსის ძირითადი ელემენტების განსაზღვრის საკითხ-

ში. ადგილობრივი სტუდენტებისთვის საკუთარი ქვეყნის პოლიტიკა წარმოადგენს ნაცნობ სფეროს, ხოლო უცხოელი სტუდენტებისთვის ეს არის სიახლე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმისთვის, რომ სტუდენტმა მიიღოს ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებაში, აუცილებლად უნდა გაიაროს კურსი ამერიკის პოლიტიკის შესახებ, შემდგომ კი, მათ საშუალება ეძლევათ გააგრძელონ სწავლა ამერიკის პოლიტიკის მოდულში, რამდენიმე სპეციალიზაციით. ეს მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული პრაქტიკაა; თითქმის ყველა უნივერსიტეტი ითხოვს, რომ პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტებმა გაიარონ „მასპინძელი“ ქვეყნის პოლიტიკის კურსი. ოტავის უნივერსიტეტში შეასწავლიან „კანადის პოლიტიკას“, სტოკჰოლმის უნივერსიტეტში „შვედეთის პოლიტიკას“, მელბურნის უნივერსიტეტში კი, შესაბამისად, „ავსტრალიის პოლიტიკას.“ (ინფორმაცია ვებ-გვერდებიდან).

ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი, გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი სტუდენტი უკვე აღჭურვილია შესაბამისი ცოდნით, რომელიც მათ მიიღეს სკოლის დამამთავრებელ კლასებში. უნივერსიტეტების პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტები ცდილობენ, რომ „ბრიტანეთის პოლიტიკის“ სწავლება უფრო სიღრმისეულად განახორციელონ ბოლო კურსებზე.

თსუ პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო საგანია „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“. სპეციალური მოდული ქართული პოლიტიკის შესახებ არაა. თუმცა საქართველოს პრობლემატიკა განხილულია რამდენიმე საგნის ფარგლებში.

თითქმის ყველა უნივერსიტეტი ითხოვს, რომ პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტებმა გაიარონ „მასპინძელი“ ქვეყნის პოლიტიკის კურსი

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე საგანი, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების კურსის ძირითად შემადგენელს წარმოადგენს.

2.2. შედარებითი პოლიტიკა

კონკრეტული სახელმწიფოსა თუ ხელისუფლების პოლიტიკის სიღრმისეული ანალიზი შთამბეჭდავი და ეფექტური შეიძლება იყოს, თუმცა მიიჩნევა, რომ პოლიტიკის შესწავლა უნდა იყოს შედარებითი. აქედან გამომდინარე, პოლიტიკის მეცნიერების ყველა პროგრამა შეიცავს „შედარებითი პოლიტიკის“ კურსს.

პრაქტიკაში აღნიშნული კურსი შესაძლოა სხვადასხვაგვარად იქნეს გატარებული. ერთი მიდგომის თანახმად, „შედარებითი პოლიტიკა“ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთი ან რამდენიმე ქვეყნის პოლიტიკის სიღრმისეული ანალიზი. მაგალითად, როდესაც დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მოდულს „ამერიკის პოლიტიკის“ შესახებ, ან პირიქით, ამერიკული უნივერსიტეტი „ბრიტანეთის პოლიტიკის“ შესახებ, შესაძლოა ჩაითვალოს შედარებითი პოლიტიკის კურსად, რადგან, მსგავსი ანალიზი სხვა ქვეყნის პოლიტიკისა, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ სტუდენტები მოახდენენ შედარებას საკუთარი ქვეყნის ინსტიტუტებთან თუ პოლიტიკურ რეალობასთან.

მიუხედავად ამისა, სპეციალისტების უმრავლესობა თვლის, რომ შედარებითი პოლიტიკა უნდა მოიცავდეს უფრო სისტემურ შედარებას, რეგიონულ, თუ გლობალურ დონეზე, სადაც შესწავლილი იქნება მთელი რიგი სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემა. შესაძლოა, მთელი რეგიონის მასშტაბით იქნას გაანალიზებული და შედარებული საკანონმდებლო სისტემები, პოლიტიკური პარტიები, გავლენის ჯგუფები და სახელმწიფო ბიუროკრატია.

სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების შედარების შედეგად, შეიძლება დადგინდეს მნიშვნელოვანი განსხვავებები ისეთ ასპექტებში, როგორებიცაა: არჩევნების ჩატარების ხარისხი, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, კორუფციის მასშტაბი, დემოკრატიის მაჩვენებელი და სხვა მრავალი.

ქვეყნების კვლევებმა შესაძლოა გამოავლინოს საზოგადოებებს შორის პოლიტიკურ დამოკიდებულებათა და ღირებულებათა სხვადასხვაობები, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა გახდეს ახალი კვლევების საფუძველი, ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა: დემოკრატიული ტრანზაციის ხასიათი სხვადასხვა სახელმწიფოებში, მდგრადი პოლიტიკური სისტემის სუსტ სისტემებთან შედარება და ა. შ. მნიშვნე-

ლოვანი ხდება დადგენა იმისა, თუ რატომ ისწრაფვის ადამიანთა ერთი ნაწილი პოლიტიკისკენ, როცა მეორე ნაწილს ურჩევნია უმოქმედოდ იყოს და ა.შ. (ჰარროპი და ჰაგი, 2007).

ქვეყნების კვლევებმა შესაძლოა გამოავლინოს საზოგადოებებს შორის პოლიტიკურ დამოკიდებულებათა და ღირებულებათა სხვადასხვაობები,

2.3. საერთაშორისო ურთიერთობები

შედარებითი პოლიტიკა უფრო ფოკუსირდება სახელმწიფოებზე, ხელისუფლებებსა და მათ პოლიტიკაზე, ვიდრე საერთაშორისო სისტემასა თუ ტრანსნაციონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებზე.

ისეთი მასშტაბური საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა: ომი და მშვიდობა, გლობალური უთანასწორობა, გარემოს დაცვის საკითხები, სახელმწიფოების სადაო საზღვრები და ა.შ, მოითხოვს სახელწმიფოთა შორის ურთიერთობებს და საერთაშორისო თუ არასამთავრობო (NGO) ორგანიზაციების მონაწილეობას.

საერთაშორისო ურთიერთობები შეისწავლის ხელისუფლებების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა საერთაშორისო აქტორების ქმედებებს, ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ (Brown 2005). ეს არის საკითხები, რომელიც აინტერესებთ პოლიტიკური მეცნიერების სტუდენტებს, მიუხედავად იმისა, თუ რა სპეციალიზაციას აირჩევენ სამომავლოდ. საერთაშორისო ურთიერთობები უკვე დიდი ხანია მიიჩნევა პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ძირეულ საგნად. ბოლო პერიოდში ბევრი უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტში, დამოუკიდებელ საგნებად ჩნდება გლობალიზაცია და პოლიტიკური ეკონომიკა.

ისეთი მასშტაბური საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა: ომი და მშვიდობა, გლობალური უთანასწორობა, გარემოს დაცვის საკითხები, სახელმწიფოების სადაო საზღვრები და ა. შ., მოითხოვს საერთაშორისო ურთიერთობებს

2.5. პოლიტიკური თეორია

პოლიტიკური თეორია არის ძირეული საგანი, რომელიც ყველა უნივერსიტეტის პოლიტიკის სწავლების ერთ-ერთი მთავარი დეტალია. თუმცა პრობლემურია თავად ტერმინი „პოლიტიკური თეორია“, რადგანაც ბუნდოვანია, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება მასში.

ერთი შეხედვით, შესაძლოა არ იყოს ცხადი, თუ რატომ უჭირავს პოლიტიკურ თეორიას გამორჩეული ადგილი პოლიტიკის მეცნიერებებში. თეორიები პოლიტიკის სწავლებების უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენენ. პოლიტიკურ ქცევათა ანალიზი ეფუძნება თეორიებს, თეორიებზეა დაფუძნებული შედარებითი პოლიტიკაცა და საერთაშორისო ურთიერთობებიც. ისმის კითხვა რატომ უნდა იყოს „პოლიტიკური თეორია“ ცალკე კურსის სახით, როცა სხვა კურსები თავისთავად გულისხმობენ თეორიების შესწავლას?

პოლიტიკური თეორიის კურსში მოიაზრება სხვადასხვა ეპოქაში გამოჩენილი პოლიტიკური მოაზროვნეების წარმოდგენების შესწავლა პოლიტიკის შესახებ. დროის პერიოდი შესაძლოა იყოს ძალიან დიდი, ანტიკური საბერძნეთიდან (2500 წლის წინ) დაწყებული, დღევანდელი ეპოქითა და თანამედროვე მეცნიერებით დამთავრებული. უნივერსიტეტთა უმრავლესობაში პოლიტიკური თეორიის შესწავლა იწყება პლატონიდან და მთავრდება დღეს მოღვაწე მეცნიერთა თეორიების შესწავლით.

პლატონისეული პოლიტიკური თეორია შესაძლოა იყოს მიმზიდველი, თუმცა ძირითადად ნორმატიული, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი აღწერს, თუ როგორ უნდა იყოს პოლიტიკა მოწყობილი, როგორია საუკეთესო მმართველობის ფორმა, თანასწორუფლებიანობა და ა. შ, თუმცა არ აკეთებს იმ დროისთვის არსებული რეალობის მეცნიერულ ანალიზს. აღნიშნულს მივყავართ ნორმატიული პოლიტიკური თეორიის და განმარტებით პოლიტიკური მეცნიერებების დაპირისპირებამდე:

ნორმატიული პოლიტიკური თეორია და პოზიტიური პოლიტიკურ მეცნიერება

- ნორმატიული პოლიტიკური თეორია მოიცავს ქცევის ნორმების, ღირებულებების აღწერას და იმის შესწავლაც, თუ რა და როგორ უნდა იყოს და არა იმის, თუ რა არის რეალურად.

- პოზიტიური პოლიტიკური მეცნიერება მოიცავს პოლიტიკური ქცევის პოზიტიურ, ან ობიექტურ მეცნიერულ ანალიზს.

ბიჰევიორისტული რევოლუციის „პიონერებმა“ უარყვეს ტრადიციული პოლიტიკური ფილოსოფია, რადგან მას არ თვლიდნენ მეცნიერულად. თუმცა, მკაცრი გაყოფა „ფაქტებისა“ (რასაც შეისწავლის მეცნიერული ანალიზი) და ღირებულებებისა (რასაც ეფუძნებოდა ნორმატიული თეორია), იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე „პიონერებს“ წარმოედგინათ. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება უფრო მეტად იყენებს ნორმატიული მიდგომის ასპექტებს. მართლაც, ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტი, ისეთი როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, გლობალური თანასწორობა, გამწვანების პოლიტიკა და სხვა, შეიცავს მნიშვნელოვან ეთიკურ მახასიათებლებს. გარდა ამისა, პოლიტიკურმა ფილოსოფიამ, ბოლო ათწლეულების მანძილზე, გადაიტანა რამდენიმე „ბრძოლა გადარჩენისთვის“ და დღესდღეობით იგი აღარ ასოცირდება მხოლოდ ანტიკური პერიოდის წარმომადგენელ მოაზროვნეებთან.

პოლიტიკური თეორიის ზოგიერთი კურსი მოიცავს თემატურ მიდგომებს ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: სამართლიანობა, თანასწორობა, თავისუფლება, პოლიტიკური უფლებები, მაშინ, როდესაც სხვები ამჯობინებენ გამოიყენონ ისეთი მოაზროვნეების ქრონოლოგიური თეორიები, როგორებიც არიან: პლატონი, არისტოტელე, მაკიაველი, ჰობსი, ლოკი, რუსო, კანტი, მილი და მარქსი. სხვა პოლიტიკური კურსები კი, ფოკუსირდებიან უფრო ვიწრო პერიოდებზე და ბოლო ორი საუკუნის მოაზროვნეებზე, მათ შორის დიურკჰეიმი და ვებერი და უფრო თანამედროვე მოაზროვნეებზე, მაგალითად - როულსი და ნოზიკი.

ზოგიერთი უნივერსიტეტი ასხვავებს ტრადიციული პოლიტიკური თეორიის კურსსა და თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების თეორიებსა და მეთოდოლოგიებს და წარმოადგენს მათ სხვადსხვა მოდულის სახით.

2.6. საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება

საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება არის პოლიტიკური სწავლებების ძირეული საგანი. ხსენებული დარგი ამზადებს სტუდენტებს, სხვადასხვა დონის სახელმწიფო სამსახურებისათვის. „საჯარო პოლიტიკა და ადმინისტირება“ ეხება არამარტო პოლიტიკური პროცესების, არამედ ბიუროკრატიული აპარატისა და გატარებული საჯარო პოლიტიკის შედეგების შესწავლასაც. ეს მოიცავს პოლიტიკური ჯაჭვის სრულ ანალიზს, იწყება პრობლემის იდენტიფიცირებიდან, გრძელდება მისი გადაწყვეტის გზების ძიებით და სრულდება მისი გადაჭრითა და მთლიანი პროცესის მონიტორინგით.

ასეთი მიდგომა მეტ ყურადღებას ამახვილებს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა: ტრანსპორტირება, ჯანდაცვა ან განათლების პოლიტიკა. აღნიშნულ თემებს, როგორც წესი, ნაკლებ ყურადღებას უთმობს პოლიტიკის მეცნიერების სხვა დისციპლინები. მსგავსი ფოკუსირების შედეგად, ხდება პრობლემების გამოვლინება და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. ამ ყველაფერმა უკვე გამოიწვია მნიშვნელოვანი სამეცნიერო დებატები და დიდი ოდენობით თეორიული ცოდნის დაგროვება.

ბევრი სპეციალისტის აზრით, სწავლების გარკვეულ ეტაპზე, საჭიროა კვლევის მეთოდების შესწავლაც, რომელიც შეიცავს სტატისტიკის ელემენტებსაც.

3. პოლიტიკური მეცნიერება და მომიჯნავე დისციპლინები

პოლიტიკური მეცნიერება როგორც ჰუმანიტარული დისციპლინა მჭიდრო ურთიერთკავშირშია ფილოსოფიურ, ისტორიულ, სოციოლოგიურ, ეკონომიკურ, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ მეცნიერებებთან. რთულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემიდან პოლიტიკური მეცნიერების გამოყოფა. ჯერ ერთი, არ არსებობს პოლიტიკური მეცნიერების საგნის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება და მეორეც, არის მთელი

რიგი ტრადიციული დისციპლინები, რომელთაც თავის ობიექტად პოლიტიკის ესა თუ ის ასპექტი აქვთ.

3.1. პოლიტიკური მეცნიერება და სოციოლოგია

პოლიტიკური სოციოლოგია წარმოიშვა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში და განიხილება სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერების მიჯნაზე მყოფ დისციპლინად.

სოციოლოგიური მეთოდების ფართოდ გამოყენება პოლიტიკური მეცნიერების მიერ და მთელი მიმართულების გაჩენა, რომელიც ემყარებოდა ემპირიულ სოციოლოგიურ კვლევას, იწვევდა მის სწრაფ დაახლოებას პოლიტიკურ სოციოლოგიასთან, როგორც საგნის, ისე კვლევის მეთოდების მიხედვით.

მკვლევართა ნაწილი აიგივებს პოლიტიკურ სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებას. ზოგი მკვლევარი კი განსხვავებას იმაში ხედავს, რომ სოციოლოგი სწავლობს უპირველეს ყოვლისა თავად საზოგადოებას და მის ზეგავლენას სახელმწიფო აპარატზე, ხოლო პოლიტოლოგი, პირიქით - სახელმწიფოს ზეგავლენას საზოგადოებაზე. დასავლეთში დამკვიდრებული გაგებით, პოლიტიკური სოციოლოგია იკვლევს პოლიტიკის სოციალურ ფაქტორებს, საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური ქვესისტემების ურთიერთკავშირს.

3.2. პოლიტიკური მეცნიერება და პოლიტიკური ეკონომია

ჩვენს დროში, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვან-წილად მიმართულია ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისაკენ დიდ მნიშვნელობას იძენს კავშირი პოლიტიკურ მეცნიერებასა და პოლიტიკურ ეკონომიას შორის.

პოლიტიკური მოვლენების ანალიზისას იზრდება ეკონომიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების როლი. ზოგიერთი დასავლეთელი მკვლევარი იმასაც ამტკიცებს, რომ პოლიტიკის თეორიის მომავალი პოლიტიკური სოციოლოგიიდან პოლიტიკურ ეკონომიაზე გადასვლაში მდგომარეობს.

თანამედროვე ლიტერატურაში ზოგჯერ ძნელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური და პოლიტეკონომიური ხასიათის ნაშრომები.

3.3. პოლიტიკური მეცნიერება და ფილოსოფია

მჭიდრო კავშირი არსებობს პოლიტიკურ მეცნიერებას და ფილოსოფიას შორის. სოციალური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პოლიტიკური ფილოსოფია, რომლის არსიც მდგომარეობს პოლიტიკის როგორც სოციალური მოვლენის მსოფლმხედველობით გააზრებაში ანუ მისთვის დამახასიათებელია პოლიტიკისადმი ღირებულებით-ნორმატიული მიდგომა („როგორი უნდა იყოს პოლიტიკა“).

შეუძლებელია პოლიტიკური მეცნიერების მთლიანად განცალკევება ერთი მხრივ, პოლიტიკის სოციოლოგიიდან და მეორე მხრივ, ტრადიციული პოლიტიკური ფილოსოფიიდან. მათ შორის საზღვრები მეტად პირობითია.

პოლიტიკისა და ზნეობის ურთიერთკავშირს **პოლიტიკური ეთიკა** შეისწავლის. პოლიტიკური ეთიკა ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული პოლიტიკური ხელისუფლება რეალურ ცხოვრებაში, იმისათვის რომ მოვლენათა მსვლელობაზე ზეგავლენასთან ერთად, არ იქნას დარღვეული ეთიკური ან რელიგიური პრინციპები და იდეალები.

3.4. პოლიტიკური მეცნიერება და გეოგრაფია

პოლიტიკურ მეცნიერებას მრავალი შეხების წერტილი აქვს გეოგრაფიასთანაც. მათი ურთიერთგადაკვეთის არე ქმნის ისეთ დისციპლინას, როგორიცაა პოლიტიკური გეოგრაფია. ესაა მეცნიერება, რომელიც სწავლობს პოლიტიკურ ძალთა ტერიტორიულ განლაგებას და შეფარდებას, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სივრცით ორგანიზაციას, ეკონომიკის სპეციფიკური გეოგრაფიული თავისებურებების ზეგავლენას პოლიტიკურ ძალებზე და ა .შ.

3.5. პოლიტიკური მეცნიერება და ფსიქოლოგია

პოლიტიკური მეცნიერება მჭიდროდაა დაკავშირებული ფსიქოლოგიასთან. პოლიტიკის ფსიქოლოგიური ასპექტებისადმი მზარდმა ყურადღებამ განაპირობა მეცნიერული მიმართულების - პოლიტიკური ფსიქოლოგიის წარმოშობა.

ინდივიდის პოლიტიკური ქცევის ფსიქოლოგიური მხარის შესწავლა საშუალებას იძლევა პოლიტიკური ურთიერთობანი დავინახოთ

ადამიანთა განცდებისა და ემოციების კუთხით, ფსიქოლოგიური ასპექტის გათვალისწინების გარეშე პოლიტიკისა და პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზი სრული არ იქნება.

3.6. პოლიტიკური მეცნიერება და ისტორია

პოლიტიკური მეცნიერება მჭიდრო კავშირშია ისტორიის შემსწავლელ დისციპლინებთან. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მეცნიერება გარკვეულწილად ისტორიული და შედარებითი მეცნიერებაა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ემპირიულ მონაცემებს ემყარება.

პოლიტიკური და ისტორიული მეცნიერებების მიჯნაზე ჩამოყალიბდა, მაგალითად, პოლიტიკური ანთროპოლოგია. ეს დისციპლინა იკვლევა პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბების ისტორიულ ასპექტებს, მის ყურადღების ცენტრშია პოლიტიკურ მოვლენათა ანალიზი განვითარებად ქვეყნებში.

3.7. პოლიტიკური მეცნიერება და იურიდიული მეცნიერებები

პოლიტიკური მეცნიერება ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული იურიდიულ მეცნიერებებთან, რომლებიც იკვლევენ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოვლენებს საზოგადოების ცხოვრებაში. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ისეთი იურიდიული დისციპლინები, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, სახელმწიფო სამართალი და სხვ.

სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მეცნიერებიდან პოლიტიკური მეცნიერება იყენებს ყველაფერს, რაც ეხება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციულ სტრუქტურებს და ამ სტრუქტურებს შორის ურთიერთკავშირს, თეორიულ და ემპირიულ მასალას სახელმწიფოს მოღვაწეობისა და მისი ორგანიზაციის შესახებ.

პოლიტიკური მეცნიერება ასევე ბევრი რამითაა დაკავშირებული სხვა მეცნიერებებთანაც, როგორიცაა ანთროპოლოგია, დემოგრაფია, ეთნოგრაფია. მას კავშირი აქვს ზოგიერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან (ბიოლოგია, ეკოლოგია). პოლიტიკური მეცნიერება ასევე იყენებს

ფორმალური მეცნიერებების - სტატისტიკის, ლოგიკის, კიბერნეტიკის, სისტემათა ზოგადი თეორიის - მიღწევებს.

4. პოლიტიკა და პრიორიტეტები

4.1. პოლიტიკა: მეცნიერება და ხელოვნება

პოლიტიკას ორგვარი ბუნება აქვს: ერთი მხრივ - მეცნიერებაა, მეორე მხრივ - ხელოვნება. პოლიტიკის მრავალი ასპექტი არ ექვემდებარება ბოლომდე გათვლას. პოლიტიკის მონაწილეთა ქცევა რიგ შემთხვევაში ნაკარნახევია არა მარტო რაციონალური მოსაზრებებით, არამედ, არც თუ იშვიათად, იმპულსურ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით ექსტრემალურ, კრიზისულ სიტუაციებში. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური მოღვაწის ინტუიციას, ბუნებრივ მონაცემებს, პოლიტიკურ გამოცდილებას.

პოლიტიკა ვერასოდეს გახდება მთლიანად მეცნიერული. პოლიტიკური გადაწყვეტილებები დამოკიდებულია არა მარტო ობიექტური ფაქტორების მოქმედებაზე, დაგროვილ მეცნიერულ ცოდნაზე, არამედ მორალურ-ღირებულებით მსჯელობებზეც, რომელთა უკან ხშირად პარტიული, კლასობრივი, პიროვნული მისწრაფებანი.

პოლიტიკაში არის სფერო, სადაც უნდა ჭარბობდეს მეცნიერული მიდგომა და არის სფერო, სადაც უმჯობესია მინდობა პრაქტიკოსთა გამოცდილებასა და ალღოზე, იმპროვიზაციის უნარზე.

მაშასადამე, პოლიტიკა უნდა განვიხილოთ როგორც მეცნიერება და როგორც ხელოვნება, მაგრამ პოლიტიკაზე, როგორც ხელოვნებაზე მითითება, არ უნდა განაპირობებდეს აგდებულ დამოკიდებულებას პოლიტიკის სფეროს მეცნიერული კვლევის საჭიროებისადმი.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებელს -გაეტანო მოსკას პოლიტიკური მეცნიერების და პოლიტიკური ხელოვნების, როგორც პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების განსხვავების საილუსტრაციოდ შემდეგი ანალოგია მოჰყავდა: პოლიტიკური ეკონომია სწავლობს სიმდიდრის წარმოებისა და განაწილების მარეგულირებელ კანონებს, მაგრამ მისი შესწავლა სრულიადაც არაა ეკვივალენტური გამდიდრებისა და სიმდიდრის შენარჩუნების ხელოვნებისა. პოლიტეკონომიის პროფესორმა იცის, თუ

როგორ მოიპოვება მილიონი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პროფესორი მილიონი დოლარის დაგროვებას მოახერხებს.

4.2. პოლიტიკა: შესაძლებელის ხელოვნება

პოლიტიკა, ერთი XIX საუკუნის სახელმწიფო მოღვაწისა არ იყოს, მართლაც რომ შესაძლებელის ხელოვნებაა. ნებისმიერმა პოლიტიკოსმა ან სახელმწიფო მოღვაწემ, თუკი იგი წარმატებისაკენ მიილტვის, უნდა იცოდეს რისი გაკეთება შეიძლება პოლიტიკურად გარკვეულ გეოგრაფიულ წერტილში მოცემულ დროს. მან უნდა იცოდეს რა კანონებსა და ქცევის წესებს მიიღებს ხალხი, რას ჩათვლის არალეგიტიმურად და რა კანონების მუშაობას დაუშვებს საზოგადოებაში გაბატონებული დამორჩილების ჩვევები. ამასთან მან უნდა იცოდეს რომელ კანონებს და ქცევის ნორმებს დაუჭერს მხარს ხალხი იმ პერიოდის მანძილზე, რომელიც საჭიროა სასურველი შედეგების მისაღწევად.

რა არის პრაქტიკული ანუ შესაძლებელი დროის მოცემულ პერიოდში და მოცემულ ადგილში დამოკიდებულია ადამიანების ფუნდამენტალურ ჩვევებსა და ფასეულობებზე და მნიშვნელოვანწილად – მათი პრიორიტეტების შკალაზე, ანუ იმაზე თუ რა მიაჩნიათ მათ პირველხარისხოვნად. XIX საუკუნის დასაწყისში ამერიკელები თვლიდნენ, რომ საკუთრების ყველა სახის დაცვა, მონების ჩათვლით, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მონების გათავისუფლება. ამ პერიოდში მონათმფლობელობის გაუქმება არ იყო პრაქტიკული პოლიტიკა შეერთებული შტატებისათვის. შესაძლებელის ზღვარის შეცვლას დასჭირდა ურჩი ახალგაზრდების ერთი თაობა. წლების მანძილზე მონათმფლობელობის გაუქმება არარეალურ და ექსტრემისტულ საქმედ მიაჩნდათ, და ამ ახალგაზრდების თანამედროვეთა თვალში ეს მისწრაფება ამგვარადაც აღიქმებოდა. მართლაც, როგორც ყველა უკიდურესი პოლიტიკური მიზეზი, აბოლიციონიზმიც ისეთ ადამიანებს იზიდავდა, რომლებისთვისაც უფრო იოლი იყო უკიდურესი პოზიციის დაკავება და უკიდურესი რადიკალური მოთხოვნების წამოყენება, ვიდრე შესაძლებელის ფარგლებში მოთმინებით ქმედება. მაგრამ ჯონ ბრაუნის მსგავსმა ფიცხმა და შეუპოვარმა ექსტრემისტებმა თავისი მისია ისტორიაში შეასრულეს. მათი საქმენი საგმირონიც და საძრახისიც, მათი დანაშაული და მსხვერპლი ერთ მიზანს

ემსახურებოდა: მათ შეუცვალეს გადაუდებელი მიზნის გაგება თავის თანამემამულეებს, ხელი შეუწყეს პრიორიტეტების გადანაწილებას და გზა გაუხსნეს აბრაამ ლინკოლნის მსგავს სახელმწიფო მოღვაწეებსა და პრაქტიკოსებს, რომლებიც ფლობდნენ შესაძლებლობის ხელოვნებას. მათ მიერ განხორციელებულმა პოლიტიკურმა ღონისძიებებმა დასახეს მონათმფლობელობის გაუქმების პრაქტიკული გზები შეერთებული შტატების ერთიანობის დაურღვევლად.

სამოქალაქო ომის დასაწყისში იტალიის ეროვნული რევოლუციის გმირმა ჯუზეპე გარიბალდიმ ლინკოლნს ბრძოლაში ჩრდილოეთის მხარდაჭერა აღუთქვა, თუ ლინკოლნი დაუყოვნებლივ გამოაცხადებდა მონათმფლობელობის გაუქმებას. ლინკოლნს ალბათ ძალიანაც აძლევდა ხელს გარიბალდის სამხედრო ნიჭის და გმირობის გამოყენება, მაგრამ იგი ხედავდა, რომ ყველა სხვა სასაზღვრო შტატებთან შედარებით, მას უფრო მეტად ჭირდებოდა დელავერის, მერილენდის და კენტუკის მხარდაჭერა და რომ ამ მხარდაჭერის მოპოვება იმ მომენტში მას შეეძლო არა მონათმფლობელობის გაუქმებით, არამედ შეერთებული შტატების შეკავშირებით. ამიტომაც ლინკოლნმა სამოქალაქო ომი კავშირის შენარჩუნებისათვის ომად გამოაცხადა და ამით გაინაღდა ყველა სასაზღვრო შტატის მხარდაჭერა. მას მოუხდა გარიბალდის დახმარების გარეშე ბრძოლა, მაგრამ მან მაინც გააუქმა მონათმფლობელობა 1863 წელს და სამოქალაქო ომიც მოიგო.

ასეთი პრობლემებისა და ანალოგიური გადაწყვეტილებების მოწმენი ზოგჯერ ჩვენც ვხდებით. საბოლოოდ, თუ შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოს კონსტრუქციულად შეცვლა უწერია, ამას შეძლებენ ისინი, ვინც ფლობს შესაძლებლობის ხელოვნებას, ვისაც შეუძლია კოალიციების შექმნა და მათი შენარჩუნება და ვინც მსოფლიოს უკეთესობისაკენ შეცვლას კი არ უკიჟინებენ მხოლოდ, არამედ თვითონ მოაქვთ ასეთი ცვლილებები.

5. პოლიტიკა და სწავლა

5.1. სწავლების უნარი

ნებისმიერი თვითწარმართვა თვითკორექციის გარეშე სრულყოფილი არაა. საკუთარი მოქმედების და შეცდომების კორექტირების უნარი გადამწყვეტია თვითმართვისა და თვითწარმართვისათვის. ჩვენი სწავლის უნარიც დამოკიდებულია გარესამყაროს მოვლენებზე უფრო რთული რეაგირებით საკუთარი ქცევის სრულყოფისა ან კორექციის უნარზე. სწავლის უნარი არის ადამიანის ან რომელიმე ჯგუფის უნარი, რაიმე ძველი სტიმულის გამეორების შემთხვევაში, მასზე მოახდინონ ახალი, უფრო საიმედო რეაქცია. დღეს ჩვენ შეგვიძლია ისეთი მანქანების შექმნაც კი, რომლებსაც ამ გაგებით სწავლის უნარი გააჩნიათ. ეს უპირისპირდება არსწავლის ისეთ სახობას, როცა ადამიანი ან ჯგუფი ყველაფერზე, რაც არ უნდა მოხდეს, ერთნაირად რეაგირებს.

სწავლება ცალსახად მოითხოვს მოსწავლე ადამიანების, ჯგუფის ან სისტემის ზოგი რესურსის გადანაწილებას. ეს კი ხშირად ძვირადღირებული და მტკივნეული პროცესია, რადგან ძველი ჩვევების შეცვლა და მოწესრიგება არც იაფია და არც ადვილი. რაც უფრო მეტ ცოდნას ვიძენთ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სხვადასხვა რასებს შორის შეერთებულ შტატებში, მით უფრო მეტად ვხვდებით, რომ ჩვენი ჩვევები უნდა შეიცვალოს და რომ ჩვენი რესურსები გადანაწილებას საჭიროებენ. სხვა საკითხია, რამდენად ვართ მზად ასეთი ცვლილებისათვის და მსხვერპლის გაღებისათვის.

დო დოგმების პოლიტიკა ცდილობს თავიდან აიცილოს ძველი იდეების მოდიფიცირებისა ან ახალი იდეების მისაღებად საჭირო საფასურის გადახდა. აქ პოლიტიკური პროცესები ძირითადად ემსახურება ნალოლიავი რწმენებისა და ილუზიის დაცვას და ამიტომაც პოლიტიკა იმ წინაპირობიდან გამოდის, რომ ახალი ინფორმაციის მიღება არა თუ შეუძლებელია, არამედ სასურველიც არ არის. დოგმების პოლიტიკა ჩვეულებრივ ცდილობს შეინარჩუნოს არსებული პრაქტიკა და ინსტიტუტები, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. პირები ან ჯგუფები, რომლებიც ქადაგებენ ცვლილებების გარკვეულ ფორმებს და გაგონებაც არ უნდათ რაიმე სხვა ახალ ფორმების შესახებ, აგრეთვე დოგმების პოლიტიკის მიმდევრები არიან.

სწავლებისადმი და არა მარტო სტატუს კვოსადმი დამოკიდებულებაა კრიტიკული მნიშვნელობის ფაქტორი.

და პირიქით, აღმოჩენის პოლიტიკა იწყება დებულებით, რომ თუმცა ჩვენ რაღაც ვიცით საკუთარ თავზე, ჩვენს მოთხოვნილებებზე და შესაძლებლობებზე და გარე სამყაროზე: ჩვენი ცოდნა არ არის სრულყოფილი. ჩვენ გვჭირდება დამატებითი ცოდნა და ცხადია აქტიურად უნდა ვესწრაფოდეთ მის შეძენას. ჩვენ პოლიტიკის პროცესს განვიხილავთ როგორც ახალი ცოდნის შეძენის საშუალებას და ამ ცოდნის მიღებისთანავე მზად ვართ შესაბამისად ვიმოქმედოთ რა ფასადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს. ასეთი აქცენტი აღმოჩენაზე ახასიათებს თანამედროვე მეცნიერების განვითარებასაც. აღმოჩენებისაკენ მიმართული აზროვნებისა და მოქმედების სტილის პოლიტიკურ ქცევაზე გავრცელებასთან ერთად ჩვენი პოლიტიკაც შეიძლება გახდეს ნაკლებად დოგმატური და პოლიტიკურ აღმოჩენებსა და პირადი მსხვერპლის გაღებაზე ორიენტირებული.

თუ პოლიტიკას უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში განვიხილავთ, მას გააჩნია მთელი საზოგადოების სწავლის პროცესის მაკოორდინებელი ფუნქცია. ეს გულისხმობს მაგალითად, სიტუაციას, როცა ხალხისა ან ქვეყნის წინ წამოიჭრება რაღაც ახალი პრობლემა და დაუპირისპირდება მათ, ან როცა ადამიანების სხვა რიცხობრივად დიდ ჯგუფს და ძველ, ადრე არსებულ პასუხებს აღარ ძალუძთ ამ პრობლემის გადაჭრა, ან როცა რომელიმე ძველი პრობლემის გადასაჭრელად საჭირო შეიქმნება ახალი რეაქციის გაკეთება იმის გამო, რომ საზოგადოებამ რაღაც კრიტიკულ ზღურბლს გადააბიჯა (ამის მაგალითია სიტუაცია, როცა ტყეები იმ დონემდე გაიჩეხა, რომ წარმოიშვა ნიადაგის ეროზიის საშიშროება და ახალი ხეები უნდა დარგულიყო). მაშინ საზოგადოებას ახალი ჩვევების ნაკრების შესწავლა მოუწევს.

ყოველთვის, როცა საზოგადოებას უწევს ახალი ჩვევების ათვისება, მისთვის ნათელი ხდება, რომ სწავლის სიჩქარე ყველასათვის ერთნაირი არ არის. ზოგი ადამიანი და ჯგუფი ძალიან სწრაფად სწავლობს, უმრავლესობა სწავლობს საშუალო ან ზომიერი სიჩქარით და არიან ისეთებიც, ვინც საოცრად ნელა, ან სულაც ვერ სწავლობს. მაგრამ თუ საჭირო მთელი საზოგადოების რეაგირება, საჭირო ხდება ქცევის კოორდინირება. აქ მთავრობის პოტენციალს შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს. შესაბამისი საქციელისათვის გასამრჯელოს

დანიშვნით, ან მოწინააღმდეგეების ურჩობის დაძლევის დასაჩქარებლად სასჯელის გამოყენებით მთავრობას შეუძლია საზოგადოებას დაეხმაროს სათანადო და ერთგვაროვანი რეაქციის უფრო სწრაფ გამომუშავებაში, ვიდრე ეს შესაძლებელია ამ ორი ფაქტორის გარეშე. პოლიტიკის ასეთი ფუნქცია შეიძლება მრავალწლიან ხასიათს ატარებდეს, მით უმეტეს, რომ ადამიანთა საზოგადოებები ახალ პირობებს უნდა შეეთვისონ და რეაგირების ახალი ჩვევები შეისწავლონ. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადამიანები ახალს სხვადასხვა სისწრაფით სწავლობენ. როგორც ანარქისტების, ისე მარქსისტების თეორია იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ერთ მშვენიერ დღეს "აორთქლდება" და ყველა მთავრობა და ყოველნაირი პოლიტიკა აღარ იქნება საჭირო, არასოდეს შეისხავს ხორცს. დღევანდელი მთავრობების ამოცანების დიდი ნაწილი რომ უცებ რაღაც მანქანებით გაქრეს, პოლიტიკასაც და მთავრობასაც მაინც დარჩება თავისი მარადიული ფუნქცია ადამიანების საქმეების მოწესრიგებისა.

5.2. სოციალური სწავლების დაჩქარება

პოლიტიკის ამოცანაა ისეთნაირად გაუწიოს კოორდინაცია ადამიანთა მოლოდინსა და სოციალურ სწავლებას, რომ დაეხმაროს საზოგადოებას თავის მიზნების მიღწევაში. სოციოლოგ ტალკოტ პარსონის თანახმად, მიზნების მიღწევა – ყოველი სოციალური სისტემის ერთერთი ფუნდამენტური ფუნქციაა. მაგრამ საზოგადოება როდი ესწრაფვის მხოლოდ მოცემულ დროში დასახული მიზნების განხორციელებას, მან შეიძლება ახალი მიზნები დაისახოს და შეეცადოს მათ განხორციელებას.

მიზნების დასახვა და მათი შეცვლა განსხვავდება დასახული მიზნების უბრალო განხორციელების მცდელობისაგან. საზოგადოებისათვის შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდეს იმას, რომ პოლიტიკური ქმედებები კერპებად არ აქციოს, თავისი ამწუთიერი მიზნები ცრუ ღმერთებად არ შერაცხოს და თაყვანი არ სცეს. XIX საუკუნის ამერიკის პიონერები უბრალო ფსიქოლოგიურმა პროცესმა აიძულა თავის ოთხთვალა გადახურული ეკიპაჟების გვერდებზე წაეწერათ ლოზუნგი: "კალიფორნია ან დარბევა". მაგრამ როცა თანამედროვე მთავრობა თავის დროშაზე გამოსახულ რაიმე პოლიტიკური მიზნის ქვეშ უხილავი მელნით მიაწერს – "ან დარბევა", სიტუაცია საშიში ხდება. ბირთვულ ეპოქაში ალბათ

ყველამ უნდა შეიგნოს, რომ მიზნების აბსოლუტიზაცია არ შეიძლება არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში. უფრო გამართლებულია ავწონ-დავწონოთ, განვიხილოთ, გადავამოწმოთ ჩვენი მიზნები პოლიტიკური პროცესის დინამიკაში და, როცა ამის დრო დადგება, შევცვალოთ ისინი, იმედია უკეთესებით. მაგრამ საზოგადოების მიზნების ასეთმა შეცვლამ შეიძლება მისი სტრუქტურის გარკვეული შეცვლაც მოითხოვოს.

5.3. თვითგარდაქმნა

საბოლოო ჯამში, საზოგადოებამ შეიძლება არა მხოლოდ თავისი ქცევის ზოგიერთი სტანდარტი და მიზანი შეცვალოს, არამედ იმდენ ასპექტში და იმდენ მიზნებთან მიმართებაში შეიცვალოს, რომ შესაძლებელი გახდეს თვითგარდაქმნაზე ლაპარაკი. კერძოთ, დასავლეთის საზოგადოებებმა არაერთხელ გვიჩვენეს თვითგარდაქმნის მაგალითი. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპა მნიშვნელოვანწილად გარდაიქმნა რომის პაპების დამოუკიდებელ პოლიტიკურ ხელისუფლებამდე აღზევების შედეგად, რამაც ეკლესია მის საქმეებში საერო მთავრობის გაუმართლებელი ჩარევისაგან გაანთავისუფლა. ამ მომენტიდან დასავლეთის ცივილიზაცია განსხვავდებოდა ადრე არსებულისაგან და მსოფლიოს სხვა ცივილიზაციებისაგან. საუკუნეების მანძილზე დასავლეთის ადამიანს ორი ზემდგომი ძალაუფლება მართავდა და მის საზრუნავს წარმოადგენდა არა მარტო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების პრობლემა, არამედ მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა და შესაძლებლობები.

გავიდა საუკუნეები და ჯონ ადამსმა აღწერა ამერიკის რევოლუცია, როგორც ამერიკელი ხალხის ჩვევებისა და ტრადიციების ძირეული შეცვლა, თანაც, ადამსის აზრით, ეს გარდაქმნა უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვიდრე ის, რაც ხდებოდა დამოუკიდებლობისათვის გამოცხადებული ომის ბრძოლის ველებზე. სხვა ქვეყნებშიც მოხდა დიდი და სისხლიანი რევოლუციები: ინგლისში ეს იყო XVII საუკუნეში, საფრანგეთში – XVIII საუკუნეში, ხოლო მექსიკაში, რუსეთში და ჩინეთში კი XX საუკუნეში.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კარდინალური ცვლილებები რაიმე მნიშვნელოვანი ძალადობის გარეშეც ხდებოდა.

ბრიტანეთის საპარლამენტო და საარჩევნო რეფორმებმა მთლიანად გარდაქმნეს ეს ქვეყანა 1832-1834 წლებში. ამერიკაში რეფორმების ეპოქა მოიცავს პერიოდს 1890 და 1910 წლების ჩათვლით. ამას ემატება ახალი კურსის რეფორმები 1930-იან წლებში, როცა მოხდა ამერიკის პოლიტიკური სისტემისა და გარკვეულწილად ამერიკული პოლიტიკური კულტურის გარდაქმნა. რა გზითაც არ უნდა დამკვიდრდეს ცვლილებები – მშვიდობიანად, თუ ძალის გამოყენებით, უნდა ვიფიქროთ, რომ საზოგადოებამ, რომელსაც სურს თავისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, უნდა შეინარჩუნოს ნაწილობრივი ან ძირეული თვითგარდაქმნის უნარი. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საზოგადოების მთავრობები და, განსაკუთრებით კი დიქტატორული ტიპის მთავრობები, ისე აჩვენებენ თავს, თითქოს ისინიც და მათი დასაყრდენი ინსტიტუტებიც იარსებებენ მარადის.

დანართი

თსუ პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა (2017 წლის შემოდგომა)

სავალდებულო კურსები

- პოლიტიკის მეცნიერების შესავალი
- პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია
- შედარებითი პოლიტიკა
- მსოფლიო პოლიტიკა
- პოლიტიკური კომუნიკაცია
- საჯარო პოლიტიკა
- საქართველოს პოლიტიკური სისტემა
-

პოლიტიკურ მეცნიერებაში საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსები (წარმოდგენილია თემატური კონცენტრაციების სახით)

პოლიტიკური თეორია

- პოლიტიკური იდეოლოგიები
- პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები
- დემოკრატია და ტრანზაცია
- პოლიტიკური მეცნიერების ისტორია: ძირითადი სკოლები და მიმართულებები
- შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში
- ქართული პოლიტიკური აზრი
- პოლიტიკური ანთროპოლოგია
- ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია

შედარებითი პოლიტიკა, რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა

- დასავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა
- მართვა-გამგეობა და პოლიტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ქვეყნებში
- კავკასიის შედარებითი პოლიტიკა
- ახლო აღმოსავლეთის შედარებითი პოლიტიკა
- შედარებითი პარტიული პოლიტიკა და პარტიული სისტემები
- გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა
- გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები და საქართველო
- გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები
- პოლიტიკა და ძალადობა
- საქართველოს საგარეო პოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა
- მსოფლიო მეოცე საუკუნეში

საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება

- ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა
- საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა
- საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები
- პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული
- სოციალური პოლიტიკა

სამოქალაქო განათლება და სამოქალაქო აქტივიზმი

- დემოკრატია და მოქალაქეობა
- ადამიანის უფლებები პოლიტიკის კონტექსტში
- არჩევნები და საზოგადოება
- გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში
- მედია და პოლიტიკა
- პოლიტიკური კულტურა
- სამოქალაქო საზოგადოება
- სამოქალაქო აქტივიზმი და ურბანული მოდელირება

მომზადება კვლევისათვის

- პოლიტიკის კვლევის მეთოდები
- საბაკალავრო კვლევის დიზაინი
- სპეციალიზებული ინგლისური ენა

როგორ იცვლებოდა პოლიტიკური მეცნიერების სტრუქტურა

პოლიტიკური მეცნიერების სტრუქტურის წარმოჩენა იოლი საქმე არაა. ჯერ ერთი მნიშვნელოვნად იცვლებოდა თავად პოლიტიკა და მისი შესწავლის მეთოდოლოგია, ჩნდებოდა ახალი სუბდისციპ ლინები, გარდა ამისა, პოლიტიკურ მეცნიერებას განსხვავებული ტრა დი ცი ები და სტრუქტურა აქვს სხვადასხვა ქვეყნებში. პოლიტიკური მეც ნიერების სტრუქტურულ განვითარებას ყველაზე კარგად შეიძლება თვალი გავადევნოთ აშშ-ში პოლიტიკური მეცნიერების განვითარების მაგალითზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ამერიკული პოლიტიკური მეცნიერება გერმა ნუ ლი პოლიტიკური თეორიების ძლიერი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და არცთუ მოწინავე პოზიციები ეკავა მსოფლიო სოციალურ მეც ნიერე ბაში, იგი სულ ოთხი დისციპლინისაგან შედგებოდა:

• ამერიკული სახელმწიფო ხელისუფლება (American government);

• საზღვარგარეთული (foreign) სახელმწიფო ხელისუფლება: შედა რებითი კვლევები;

• პოლიტიკური თეორია ანუ ფილოსოფია;

• სამართლის საფუძვლები.

XX საუკუნის დასაწყისიდან ამერიკული პოლიტიკური მეცნიერება წამყვანი ხდება მსოფლიოში (როგორც აკადემიური, ისე კვლევითი თვალსაზრისით) და შესაბამისად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კვლევისა და შესაბამისად, სწავლების ობიექტები აშშ-ში მნიშვნელოვნად გაიზარდა დაამერიკულ პოლიტიკურ მეცნიერებას შემდეგი სტრუქტურა ქონდა:

• პოლიტიკური თეორია /ფილოსოფია;

• პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი აზრი, ინტერესთა ჯგუფები (სპეციალური ინტერესთა ჯგუფები), პოლიტიკური კომუნიკაცია (პროპაგანდა, სემანტიკა);

• საჯარო სამართალი (ხშირად ორი ცალკე შტოს სახით წარმოდგენილი – კონსტიტუციური სამართალი და ადმინისტრაციული სამართალი);

• სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა;

• საერთაშორისო ურთიერთობები, დიპლომატია, საერთა-შორისო პოლიტიკა, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები;

• ამერიკული სახელმწიფო ხელისუფლება: ფედერალური, შტატის, ადგილობრივი;

• უცხოური სახელმწიფო ხელისუფლება: შედარებითი კვლევები;

• საკანონმდებლო ორგანოები და კანონმდებლობა;

• სახელმწიფო მმართველობა და ეკონომიკა (government and business).

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან 60-იანი წლების ჩათვლით პოლიტიკური მეცნიერების ამერიკული ასოციაცია (ჩ.მერიამის და მისი სკოლის ზეგავლენით) პოლიტიკური მეცნიერების შემდეგ სტრუქტურას ეყრდნობოდა:

• ამერიკული ნაციონალური სახელმწიფო ხელისუფლება;

• შედარებითი სახელმწიფო ხელისუფლება;

• საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები;

• პოლიტიკური პარტიები;

• პოლიტიკური თეორია;

• სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა;

• საჯარო სამართალი;

• შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლება (State and local government).

აღსანიშნავია, რომ 1948 წელს იუნესკო-ს ინიციატივით, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბებას, ჩატარდა საერთაშორისო კოლოქვიუმი პოლიტიკური მეცნიერების საკითხებზე. გადაწყდა ტერმინი "პოლიტიკური მეცნიერება" გამოიყენონ მხოლობით რიცხვში. პოლიტიკური მეცნიერების შინაარსი კი შემდეგი პრობლემებით განისაზღვრა:

• პოლიტიკური თეორია (პოლიტიკური თეორია და იდეების ისტორია);

• პოლიტიკური ინსტიტუტები (კონსტიტუცია, ცენტრალური მთავრობა, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობა, სახელმწიფო ადმინისტრაცია, მთავრობის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები), პოლიტიკური ინსტიტუტების შედარებითი ანალიზი;

• პარტიები, ჯგუფები და საზოგადოებრივი აზრი (პოლიტიკური პარტიები, ჯგუფები და ასოციაციები, მოქალაქის მონაწილეობა მთავრობაში და ადმინისტრაციაში, საზოგადოებრივი აზრი);

• საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამართალი).

1968 წელს პოლიტიკური მეცნიერების ამერიკული ასოციაციის გადაწყვეტილებით პოლიტიკური მეცნიერების დისციპლინათა რაოდენობა სამამდე იქნა დაყვანილი (თუმცა იმავდროულად ანბანური თანმიმდევრობით ჩამოთვლილი იყო 28 "სპეციალიზირებული მიმართულება", ანუ სუბდისციპლინა):

• თანამედროვე პოლიტიკური სისტემები;

• საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო პოლიტიკა;

• პოლიტიკური თეორია და ფილოსოფია.

პოლიტიური მეცნიერების ამგვარმა დაყოფამ დიდხანს ვერ იარსება და 1973 წელს პოლიტიკური მეცნიერების ამერიკული ასოციაცია დაუბრუნდა რვა დისციპლინას, ოღონდ ახლებურად ჩამოაყალიბა მათი სახელწოდებები:

• უცხოური და ქვეყანათშორისი (cross-national) პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკური ქცევა;

• საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო პოლიტიკა;

• მეთოდოლოგია;

• პოლიტიკური სტაბილურობა, პოლიტიკური არასტაბილურობა და პოლიტიკური ცვლილებები;

• პოლიტიკური თეორია;

• სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკა: მისი ფორმირება და შინაარსი;

• სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა;

• პოლიტიკური ინსტიტუტები, პოლიტიკური პროცესები და პოლიტიკური ქცევა აშშ-ში.

იმავდროულად ამ 8 დისციპლინის ფარგლებში გამოიყოფოდა 60 დამოუკიდებელი სუბდისციპლინა.

პოლიტიკური მეცნიერების სტრუქტურის თანამედროვე სტანდარტმა კი შეიძლება ითქვას, დამკვიდრება დაიწყო 1975 წლიდან, როდესაც გამოჩნდა "პოლიტიური მეცნიერების სახელმძღვანელო" რვა ტომად. ეს რვა ტომი შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

• პოლიტიკური მეცნიერება: კვლევის სფერო და თეორია;

• მიკროპოლიტიკური თეორია;

• მაკროპოლიტიკური თეორია;

• არასამთავრობო პოლიტიკა;

• სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტები და პროცესები;

• პოლიტიკა და პოლიტიკის წარმართვა;

• საერთაშორისო პოლიტიკა.

პოლიტიკური მეცნიერების აღნიშნული სტრუქტურა პრინციპში შენარჩუნებულია 1996 წელს გამოცემულ ფუნდამენტურ ნაშრომში

"პოლიტიკური მეცნიერების ახალი სახელმძღვანელო" გუდინისა და კლინგემანის რედაქციით. აღნიშნული კოლექტიური ნაშრომის თანახმად, თანამედროვე ინტეგრირებული პოლიტიკური მეცნიერება შედგება შემდეგი დისციპლინებისაგან:

• პოლიტიკური ინსტიტუტები (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი ასპექტი);

• პოლიტიკური ქცევა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არჩევნებისა და პარტიების ანალიზი);

• შედარებითი პოლიტიკური მეცნიერება (განსაკუთრებით მიკრობიჰევიორისტული კვლევები და დემოკრატიის ანალიზი);

• საერთაშორისო ურთიერთობები (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნეორეალისტური, ნეოამერიკული, პოსტპოზიტივისტური და ფემინისტური მიდგომები);

• პოლიტიკური თეორია (განსაკუთრებით აქცენტი "პოლიტიკურ ფილოსოფიაში ტრადიციებზე" დაწყებული 1950-იანი წლებიდან);

• საზოგადოებრივი პოლიტიკა, სახელმწფო და მუნიციპალური მართვა (აქცენტი შედარებით პოლიტიკაზე);

• პოლიტიკური ეკონომია (განსაკუთრებით პოლიტიკურ-ეკონომიკური სოციალური ანალიზი და პოლიტიკის ეკონომიკური ანალიზი);

• პოლიტიკური მეთოდოლოგია (განსაკუთრებით რაოდენობრივი მეთოდები, კვლევითი პროექტები და ექსპერიმენტული მეთოდები).

უნგრელმა მეცნიერმა დ. სტრპიჩმა პოლიტიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის გათვალისწინებით, პოლიტიკური მეცნიერების სტრუქტურა შედარებით დაწვრილებით წარმოადგინა:

I. პოლიტიკური თეორია

იყოფა შემდეგ სუბდისციპლინებად:

• პოლიტიკური თეორიის საფუძვლები;

• პოლიტიკური თეორიების, იდეებისა და პოლიტიკური აზრის ისტორია;

• ნორმატიული და აღწერილობითი პოლიტიკური თეორია, პოლიტიკური ფილოსოფია და ეთიკა;

• პოზიტიური, ემპირიული და ფორმალური, ანალიტიკური და სისტემური თეორიები, პოლიტიკური ფილოსოფია და ეთიკა;

• პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია;

• სამართლის თეორია;
• პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს თეორია;
• ორგანიზაციებისა და გადაწყვეტილებების მიღების თეორია;
• პოლიტიკური ქცევისა და პოლიტიკური კომუნიკაციების თეორია;
• იდეოლოგიისა და პოლიტიკური კულტურის თეორია;
• ეროვნული პოლიტიკის თეორია;
• შედარებითი პოლიტიკის თეორია;
• საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია.

II. პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგია

სუბდისციპლინები:

• პოლიტიკური ანალიზისა და კვლევის თეორიული (და ფილოსოფიური მეთოდოლოგია);
• რაციონალური არჩევანისა და ფორმალური ანალიზის პოლიტიკური თეორია;
• პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პროცესების ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია. მოდელირება, ანალიტიკური პროექტები და პოლიტიკური ანალიზი;
• მონაცემთა ძიება, შეკრება და დამუშავება. სტატისტიკა და პოლიტიკური ანალიზი;
• სტრატეგიული ანალიზი, პოლიტიკური პროცესის განჭვრეტა და მართვა;
• ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზის მეთოდოლოგია;
• პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი;
• შედარებითი ანალიზი.

III. პოლიტიკური ინსტიტუტები (და სახელმწიფო)

სუბდისციპლინები:

• პოლიტიკური ინსტიტუტების ისტორია;
• სახელმწიფო, პარლამენტარიზმი, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტები, პრეზიდენტობა, სასამართლო;
• პოლიტიკური ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, არჩევნები;
• მასობრივი ინფორმაციის საშუალებები;
• სახელმწიფოსა და პოლიტიკური ინსტიტუტების თეორია.

IV. პოლიტიკური ეკონომია

სუბდისციპლინები:

• პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია. მაკრო და მიკროანალიზი. პოლიტიკის ეკონომიკური ანალიზი;

• გლობალური ჰ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია;

• ეროვნული პოლიტიკური ეკონომიები;

• შედარებითი პოლიტიკური ეკონომია, რეგიონალური პოლიტიკური ეკონომია და საერთაშორისო ინტეგრაციების პოლიტიკური ეკონომია;

• სპეციალური (კონკრეტული) პოლიტიკური ეკონომიები;

• პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგი, განვითარება და ცვლილება. ინსტიტუტები და პროცესები. პოლიტიკურ-ეკონომიკური ციკლები;

• სახელმწიფო, საზოგადოება და სახალხო მეურნეობა. საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრაციული მართვის პოლიტიკური ეკონომია. ფინანსები. ეკონომიკური პოლიტიკა;

• პოლიტეკონომიური განვითარების და ცვლილებების სტრატეგია და პოლიტიკა;

• პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორია.

V. პოლიტიკური ქცევა და პოლიტიკური პროცესი; პოლიტიკური კომუნიკაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ჟურნალისტიკა.

სუბდისციპლინები და განყოფილებები:

• პოლიტიკური ქცევა და პოლიტიკური პროცესები

– ამომრჩეველთა ქცევა და პოლიტიკური პროცესი;

– კანონმდებელთა ქცევა და პოლიტიკური პროცესი;

– აღმასრულებელი ხელისუფლების ქცევა და პოლიტიკური პროცესი;

– სასამართლო ხელისუფლების ქცევა და პოლიტიკური პროცესი;

– პოლიტიკურ-ეკონომიკური ქცევა და პოლიტიკური პროცესი.

• პოლიტიკური ინტერესები, პოლიტიკური კულტურა და ქცევა

– დაინტერესებული ჯგუფები (სოციალური ინტერესების ჯგუფები);

– პოლიტიკური ძალადობა;

– პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური სოციალიზაცია და პოლიტიკური მონაწილეობა;

– სტაბილურობა, განვითარება და ცვლილებები.

• პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოებრივი აზრი

– პოლიტიკური ინფორმაცია;

– წარმომადგენლობა, ურთიერთობა საზოგადოებასთან, ლობირება;

– საზოგადოებრივი აზრი.

• მასმედია და ჟურნალისტიკა:

– პრესა;

– რადიო;

– ტელევიზია;

– სხვა საინფორმაციო ქსელები;

– პოლიტიკური კომუნიკაციების ბაზარი.

• პოლიტიკური ქცევისა და პოლიტიკური კომუნიკაციების თეორიები

– პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტები;

– პოლიტიკურ-სოციოლოგიური ასპექტები;

– პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები;

– პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები.

VI. სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა (administration, management)

სუბდისციპლინები:

• სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის საფუძვლები;

• ორგანიზაციებისა და გადაწყვეტილებათა მიღების თეორია;

• მართვის თეორია;

• სახელმწიფო / საზოგადოებრივი მართვა;

• ადმინისტრაციული სამართალი;

• ფისკალური და საბიუჯეტო მართვა;

• ადამიანური რესურსების მართვა;

• ადმინისტრაციულ სისტემათა შედარებითი ანალიზი.

VII. საზოგადოებრივი პოლიტიკა

სუბდისციპლინები:

• საზოგადოებრივი პოლიტიკის საფუძვლები;

• საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირება და განხორციელება;

• პოლიტიკური ანალიზი (policy analysis)

• საზოგადოებრივი პოლიტიკის კონკრეტული (ცალკეული) ფორმები (მულტიდისცლინარული ანალიზი);

• შედარებითი საზოგადოებრივი პოლიტიკა.

VIII. ნაციონალური პოლიტიკა ან სახელმწიფო ხელისუფლება (government and politics)

სუბდისციპლინები და განყოფილებები:

• ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლების და პოლიტიკური სისტემის თეორია;

• თანამედროვე პოლიტიკური სისტემები / თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლება (კონკრეტულ ქვეყნებსა და რეგიონებში):

– აშშ;
– გერმანია;
– საფრანგეთი;
– დიდი ბრიტანეთი;
– რუსეთი;
– იტალია;
– იაპონია;
– ავსტრალია;
– სკანდინავიის ქვეყნები;
– ევროკავშირი;
– რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებანი;
– სხვა სისტემები.

IX. კონკრეტული ქვეყნის ნაციონალური პოლიტიკა ჰ სახელმწიფო ხელისუფლება

სუბდისციპლინები:

• კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოება;

• კონსტიტუცია. საზოგადოებრივ-სამართლებრივი ანალიზი. ისტორიული ანალიზი. რაციონალური ანალიზი (**რაციონალიტეტი**);

• ინტერესები, პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები;

• საზოგადოებრივი აზრი და მასმედია. მოცემული ქვეყნის პოლიტიკური კომუნიკაცია;

• არჩევნები და ამომრჩეველთა ქცევა;

• პარლამენტი და კანონმდებელთა ქცევა;

• რესპუბლიკის პრეზიდენტი;

• მთავრობა და სამთავრობო ინსტიტუტები;

• სამართალი, სასამართლო და სამართალწარმოება;

• საზოგადოებრივი / სახელმწიფო პოლიტიკა;

• საზოგადოებრივი / სახელმწიფო მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა;

• მოცემული ქვეყნის პოლიტიკური ეკონომია;

• მოცემული ქვეყანა რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში;

• მოცემული ქვეყნის პოლიტიკური ისტორია.

X. შედარებითი პოლიტიკა ან შედარებითი სახელმწიფო ხელისუფლება

სუბდისციპლინები და განყოფილებები:

• შედარებითი სახელმწიფო ხელისუფლების თეორია;

• შედარებითი ანალიზის მოდელები;

• შედარებითი ანალიზი თანამედროვე პოლიტიკური სისტემების ჰ სახელმწიფო ხელისუფლების და ეროვნული პოლიტიკის, რეგიონული ინტეგრაციების და მათი სპეციფიკური ასპექტების;

• რეგინალური ანალიზი:

– გარდამავალი სისტემები;

– ცენტრალური ევროპა;

– ბალკანეთი;

– ხმელთაშუაზღვისპირეთი;

– სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა;

– დასავლეთ ევროპა;

– ჩრდილოეთ ამერიკა;

– სამხრეთ ამერიკა;

– აზია;

– შორეული აღმოსავლეთი;

– წყნარი ოკეანის აუზი;

– ახლო და შუა აღმოსავლეთი;

– აფრიკა.

• შედარებითი ანალიზი პოლიტიკური მეცნიერების სხვა დისციპლინებისა და მათი განყოფილებების რაკურსში;

• ქვეყანათმცოდნეობა როგორც ანალიზის ტრადიციული დისციპლინათშორისი და დარგთაშორისი ველი.

XI. საერთაშორისო ურთიერთობები

სუბდისციპლინები:

• საერთაშორისო ურთიერთობების თეორია;

• საერთაშორისო სამართალი;

• საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;

• საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;

• ეროვნული საგარეო პოლიტიკა;

• კონკრეტული ქვეყნის საგარეო პოლიტიკა;

• საერთაშორისო ურთიერთობები და ინტეგრაცია;

• დიპლომატია;

• გეოპოლიტიკა, პოლიტიკური გეოგრაფია;

• საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია.

XII. დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური განათლება (აღზრდა)

სუბდისციპლინები:

• მოქალაქეობის, სამოქალაქო კულტურის და სამოქალაქო განათლების (და აღზრდის) თეორია;

• პოლიტიკური კულტურა;

• პოლიტიკური მეცნიერების განყოფილებები და პოლიტიკური კულტურა;

• პოლიტიკური განათლება;

• პოლიტიკური მეცნიერების განყოფილებები და პოლიტიკური განათლება;

• პოლიტიკური ისტორია, პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური განათლება.

XIII. პოლიტიკური ისტორია

სუბდისციპლინები:

• პოლიტიკური მეცნიერება და ისტორია, პოლიტიკური მეცნიერება და ისტორიოგრაფია;

• პოლიტიკური ისტორიის მეთოდოლოგია;

• პოლიტიკური ისტორიის განყოფილებები

– პოლიტიკური ისტორიის, პოლიტიკური განვითარების და ცვლილებების თეორია;

– პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს ისტორია;

– პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ისტორია;

– სახელმწიფო ჰ ადმინისტრაციული პოლიტიკის ისტორია;

– პოლიტიკური კომუნიკაციის, პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური ქცევის, საზოგადოებრივი აზრისა და მასმედიის ისტორია;

– ინტელექტუალური პოლიტიკური ისტორია;

– შედარებითი პოლიტიკური ისტორია;

– საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია და დიპლომატიის ისტორია.

• მსოფლიო პოლიტიკური ისტორია და ცივილიზაციების ისტორია;

• კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური ისტორია